უნივერსიტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი

№11 (78) 2017

თსუ მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტებს შორის

U.S.News&World Report-ის 2018 წლის მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების რანჟირებაში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა 359-ე ადგილი დაიკავა. 2018 წლის რანჟირებისთვის განხორციელებულ კვლევებში მსოფლიოს 74 ქვეყნის 1250 საუკეთესო უნივერსიტეტი მოხვდა.

U.S.News&World Report უკვე 30 წელია რაც მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების რანჟირებას აქვეყნებს. გასულ წელს კვლევაში მხოლოდ 1000 უნივერსიტეტი მონაწილეობდა.

U.S.News&World Report რეიტინგების შედგენისას 13 ინდიკატორს იყენებს, რაც უნივერსიტეტების აკადემიურ კვლევით საქმიანობას და გლობალურ და რეგიონულ რეპუტაციას ეყრდნობა. კვლევის ავტორები ასევე ითვალისწინებენ უნივერსიტეტის აკადემიურ საქმიანობას პუბლიკაციების, სამეცნიერო წიგნების გამოცემის, კონფერენციების ორგანიზების კუთხით, ციტირების ინდექსს, საერთაშორისო თანამშრომლობას, ყველაზე ციტირებად პუბლიკაციებში უნივერსიტეტის წილს. კვლევისას ასევე გამოყენებულია აკადემიური წრეების წარმომადგენელთა და მკვლევართა მოსაზრება მათთვის ნაცნობი მსოფლიოს უნივერსიტეტების აკადემიურ საქმიანობასა და საგანმანათლებლო პროგრამებზე.

2018 წლის მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების რანჟირებაში აშშ ლიდერობს – 221 უნივერსიტეტით, რომელთა შორის პირველ პოზიციაზეა ჰარვარდის უნივერსიტეტი. საქართველოდან რანჟირებაში მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მოხვდა 359-ე ადგილზე 49.6 ქულით. რანჟირებაში თსუ უსწრებს ისეთ ცნობილ უნივერსიტეტებს, როგორიცაა ვარშავის, ბორდოს, გისენის და სხვა.

U.S.News&World Report მიიჩნევს, რომ გლობალური რანჟირება საუკეთესო მაჩვენებელია იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც უცხო ქვეყნის უნივერსიტეტებში სწავლით არიან დაინტერესებული და მეტ ყურადღებას აქცევენ უნივერსიტეტების აკადემიურ საქმიანობას და მსოფლიო რეპუტაციას.

თსუ-ს 100 წლის იუბილე 2018 წელს იუნესკოს ეგიდით გაიმართება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილე 2018 წელს იუნესკოს ეგიდით გაიმართება – ეს გადაწყვეტილება გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციამ პარიზში გენერალური კონფერენციის 39-ე სესიაზე მეგობარი ქვეყნების მხარდაჭერით მიიღო.1956 წლიდან იუნესკო აქტიურად მონაწილეობს ორგანიზაციის წევრ ქვეყნებში ისტორიული მოვლენების აღნიშვნაში, რაც თავის მხრივ ამ მოვლენებს მსოფლიო მნიშვნელობას ანიჭებს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიებების მთელი ქვეყნის მასშტაბითა და საერთაშორისო დონეზე დაგეგმვისა და ორგანიზებისთვის შექმნილია სპეციალური სამთავრობო კომისია, რომლის თავმჯდომარეა საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი. კომისიის შემადგენლობაში ასევე შედიან მინისტრთა კაბინეტის, პარლამენტის, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისა და მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიებები 2017 წლის დეკემბერში (1917 წლის დეკემბერში დამტკიცდა თსუ-ის წესდება) დაიწყება და მთელი მომდევნო წლის განმავლობაში გაგრძელდება.

კავკასიაში პირველი ეროვნული უნივერსიტეტი, რომელმაც ქართულ ენაზე სწავლებითა და ქართული საგანმანათლებლო ტრადიციების გათვალისწინებით, საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ევროპული ტიპის უმაღლეს სკოლას, 1918 წლის 26 იანვარს (ახალი სტილით, 8 თებერვალს) დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს გაიხსნა.

თსუ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთა გუნდი კვლავ გამარჯვებულია

თსუ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთა გუნდი ადამიანის უფლებათა სამართალში იმიტირებული სასამართლო პროცესების შეჯიბრის გამარჯვებულია.

იმიტირებული სასამართლო პროცესების შეჯიბრი ადამიანის უფლებათა სამართალში თავისუფალ უნივერსიტეტთან არსებული ადამიანის უფლებების ეროვნული ინსტიტუტისა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (EWMI-PROLoG) ერთობლივი პროექტია.

იგი ყოველწლიურად ტარდება და მასში მონაწილეობენ საქართველოში აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების იურიდიული ფაკულტეტების / სამართლის სკოლების ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტე-

გაგრძელება მე-4 გვ.

სკანდინავისტკის ცენტრი და სკანდინავიაში სწავლის შესაძლებლობები თსუ სტუდენტებისთვის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სკანდინავისტიკის ცენტრი სკანდინავიური ენებით დაინტერესებულ სტუდენტებს წლებია მასპინძლობს. ცენტრში სტუდენტები ნორვეგიულ, შვედურ და უკვე ფინურ ენასაც ეუფლებიან. ცენტრის საუკეთესო სტუდენტებს ყოველწლიურად აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში და სამაფხულო სკოლებში ნორვეგიასა და შვედეთში.

სკანდინავისტიკის ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი კახაბერ ლორია გვიყვება ცენტრის მიზნებისა და მიმართულებაზე არსებული სიახლეების შესახებ.

კახაბერ ლორია:

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უკვე ათ წელზე მეტია მოქმედებს სკანდინავისტიკის ცენტრი, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ. ცენტრი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შემადგენელი ნაწილია და ანხორციელებს აღნიშნული ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებს სკანდინავისტიკის სფეროში.

თავიდან არსებობდა მხოლოდ დამატებითი (minor) საბაკალავრო პროგრამა, მაგრამ შემდგომში, ჩვენი ნორვეგიელი და შვედი კოლეგების დახმარებით და სკანდინავიური საგრანტო პროექტების ხელშეწყობით შევძელით აგრეთვე ძირითადი (major) საბაკალავრო პროგრამის ჩამოყალიბება სკანდინავიურ ფილოლოგიაში, რომელიც რამდენიმე წელია წარმატებით მოქმედებს. პროგრამაში მთავარი სკანდინავიური ენა ნორვეგიულია, თუმცა პროგრამის მიხედვით, აგრეთვე სავალდებულოა შვედური ენის შესწავლაც. წელს პირველად გაიხსნა სკანდინავისტიკის, ამჟამად როგორც რეგიონთმცოდნეობის, სამაგისტრო პროგრამა, სადაც სხვა საგნებთან ერთად უკვე ფინური ენაც ისწავლება. რაც შეეხება დოქტორანტურას, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტ-

გაგრძელება მე-3 გვ.

მიხეილ ჩხენკელი ჯავახიშვილის სახელობის მედლით დაჯილდოვდა

საქართველოს განათლების მინისტრის პოსტზე ახალ მთავრობაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ყოფილი მოადგილე, მიხეილ ჩხენკელი დაინიშნა. 18 ნოემებერს იგი უკვე მინისტრის რანგში სტუმრობდა უნივერსიტეტს, სადაც მიხეილ ჩხენკელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინაშე გაწეული განსაკუთრებული დამსახურებისა და ნაყოფიერი ორგანიზაციული მოღვაწეობისთვის ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლით დაჯილდოვდა.

გვ. 3

ყველაზე მეტი სახელმწიფო გრანტი თსუ მაგისტრანტებმა მოიპოვეს

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უპირობო ლიდერია დაფინანსებულ მაგისტრანტთა რაოდენობით. ბოლო 4 წლის მანძილზე დაფინანსებული მაგისტრანტების რაოდენობის დინამიკა იზრდება. წელსაც, 2017-2018 სასწავლო წლისათვის ყველაზე მეტი სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა მოიპოვეს.

895 მაგისტრანტიდან, რომელთაც სახელმწიფო დაფინანსება მოიპოვეს, 328 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტია.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, წელს, 14-ათასამდე აპლიკანტმა გამოთქვა ერთიან სამაგისტრო გამოცდებში მონაწილეობის სურვილი, 12-ათასმა მიიღო მონაწილეობა, 2-ათასმა აპლიკანტმა ვერ გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ლექსიკოგრაფიაში ევროპული სამაგისტრო პროგრამის ასოცირებული წევრი გახდა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ლექსიკოგრაფიაში ევროპული სამაგისტრო პროგრამის (EMlex, European Master in Lexicography) ასოცირებული წევრი გახდა. სამაგისტრო პროგრამა 10 წლის წინ დააარსა რვა ევროპული უნივერსიტეტის კონსორციუმმა, ეს უნივერსიტეტებია: ერლანგენ-ნიურნბერგის ფრიდრიხ-ალექსანდერის სახელობის უნივერსიტეტი (გერმანია), რეფორმატორული ეკლესიის კაროლი გაშპარის სახელობის უნივერსიტეტი ბუდაპეშტში (უნგრეთი), სტელენბოსის უნივერსიტეტი (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა), სილეზიური უნივერსიტეტი კატოვიცეში (პოლონეთი), ლოთარინგიის უნივერსიტეტი (საფრანგეთი), მინიუს უნივერსიტეტი ბრაგაში (პორტუგალია), სანტიაგო-დე-კომპოსტელას უნივერსიტეტი (ესპანეთი) და უნივერსიტეტი რომა ტრე (იტალია). პროგრამას ხუთი ასოცირებული წევრი ჰყავს: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰილდესჰაიმის უნივერსიტეტი (გერმანია), ტეხასის უნივერსიტეტი ოსტინში (აშშ), რიუ-გრანდი-დუ-სულის ფედერალური უნივერსიტეტი (ბრაზილია) და გერმანული ენის ინსტიტუტი, მანჰაიმი (გერმანია).

გვ. 2

თსუ სკოლებში „ახალგაზრდა მკვლევართა კლუბების“ შექმნას შეუწყობს ხელს

ყოველდღიურად ცვალებადი გარემო პირობები, კლიმატი, სოციალური ვითარება, ეკოლოგიური მდგომარეობა, ბუნებრივი რესურსების მარაგი - თითოეული დღე ახალ გამოწვევებს გვთავაზობს. შესაბამისად, უკანასკნელ წლებში სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა მოსახლეობისათვის საფრთხის შემცველი პროცესების შესწავლას, პრევენციული ღონისძიებების გატარებას, მოსახლეობის ცოდნის ამაღლებას ამა თუ იმ მოვლენისგან თავის დასაცავად. სწორედ ამიტომ, თსუ საბავშვო უნივერსიტეტი კიდევ ერთი ახალი ინიციატივით გამოდის - პროექტის მიზანია სკოლებში სტიქიური თუ სოციალური მასშტაბური პროცესების შემსწავლელი „ახალგაზრდა მკვლევართა კლუბების“ („ამკლ“, Junior Researchers Club - JRC) ჩამოყალიბების ხელშეწყობა. ამ კლუბებმა მოსწავლეებში კვლევის, მეცნიერებისადმი ინტერესის გაღვივებას, ცნობიერების ამაღლებას, პირადი პასუხისმგებლობის, ინიციატივის, გუნდური მუშაობის ჩვევების ჩამოყალიბებას უნდა მისცენ სტიმული.

„ახალგაზრდა მკვლევართა კლუბის“ მიზნები და ამოცანები საფრთხის შემცველი პროცესების პროფილაქტიკის, მართვის და/ან მათგან თავდაცვის მეთოდების შესახებ არსებული ცოდნის საზოგადოებაში გავრცელება იქნება. გარდა ამისა, შეძლებისდაგვარად, მარტივი დაკვირვებითი და კვლევითი მუშაობის ჩატარება.

ძირითადი საკითხი, რაზეც პირველ რიგში საბავშვო უნივერსიტეტი მსგავსი კლუბებს ჩამოყალიბების მსურველებს ყურადღების გამახვილებას ურჩევს, ფაროსანასთან ბრძოლის საკითხია. ფაროსანასთან ბრძოლის თემაზე საბავშვო უნივერსიტეტის წარმომადგენლები სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსს ზურაბ ჩეკურაშვილს და პრესამსახურის უფროსს თეა შველიძეს შეხვდნენ. სააგენტოსთან სახელმწიფო უნივერსიტეტს თანამშრომლობის მემორანდუმი აქვს გაფორმებული. შეხვედრის შედეგად სხვადასხვა ღონისძიებები დაიგეგმა. პირველ რიგში, მოხალისე და „თსუ დესპანის“ პროექტის მონაწილე სტუდენტები სათანადო ცოდნით აღიჭურვებიან, შემდეგ კი რეგიონებში ინფორმაციის გავრცელებაში ჩაერთვებიან.

აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის მეთოდების და პროფილაქტიკური ღონისძიებების შესახებ პირველი ტრენინგი სტუდენტებისათვის სურსათის ეროვნულ სააგენტოში 27 ნოემბერს ჩატარდა. მეტი ეფექტის მისაღებად, მიღებული ცოდნა სტუდენტებმა თავის მხრივ, რაც შეიძლება მეტ ადამიანს უნდა გაუზიარონ, მათ შორის „ახალგაზრდა მკვლევართა კლუბის“ წევრებს. ცნობისათვის, ასეთი კლუბის შექმნის და სხვადასხვა ტრენინგებში მონაწილეობის სურვილი უკვე დაადასტურეს აგარის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა.

თსუ საბავშვო უნივერსიტეტი კლუბს საქმიანობის სხვადასხვა ეტაპზე სათანადო საკონსულტაციო დახმარებას გაუწევს – იქნება ეს ინფორმაციის მოძიება, კვლევითი სამუშაოს დაგეგმვა, პროცესების მონიტორინგი თუ სხვა.

სიახლეები

ფოტოკონკურსი „ჩემი თსუ“

თსუ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის კულტურის დეპარტამენტის ორგანიზებით ტარდება ფოტოკონკურსი „ჩემი თსუ“.

პროექტში მონაწილეობის მიღება შეუძლია თსუ–ის ნებისმიერი ფაკულტეტისა და საფეხურის სტუდენტს.

მონაწილეებმა უნდა გადაიღონ ფოტოები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან დაკავშირებით. პროექტი ფარგლებში გამოვლინდება ორი გამარჯვებული.

მეორე გამარჯვებული გახდება, სოციალურ ქსელ FACEBOOK-ში, ყველაზე მეტი „მოწონების“ მქონე ფოტოს ავტორი. ყველა საკონკურსო ფოტო ერთდროულად განთავსდება თსუ სტუდენტური თვითთმმართველობის ოფიციალურ გვერდზე. გამარჯვებულებს გადაეცემათ სერტიფიკატები და სხვადასხვა სამახსოვრო საჩუქრები. რეგისტრაცია იწარმოებს 22 ნოემბრიდან 5 დეკემბრის ჩათვლით.

საკონტაქტო ინფორმაცია: ია გაგნიძე – 595510876, მარიამ კაჭარავა – 558517371, თამარ თურმანიძე – 574017591.

დასაქმების ფორუმი თსუ-ში

22 ნოემბერს, თსუ-ში ბუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის დასაქმების ფორუმი გაიმართა. დასაქმების ფორუმი სტუდენტებისა და დამსაქმებლების დაახლოების ეფექტიანი გზაა და საშუალებას აძლევს ახალგაზრდებს, პირადად შეხვდნენ და გაესაუბრონ მათთვის სასურველი კომპანიებისა და ორგანიზაციების ადამიანური რესურსების განყოფილებების წარმომადგენლებს, წარუდგინონ საკუთარი თავი, მიიღონ ინფორმაცია პოტენციური დამსაქმებლის მიმდინარე თუ სამომავლო საკადრო საჭიროებებზე.

ახალგაზრდა მეცნიერთა პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში

20 ნოემბერს თსუ-ში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანიზებით გაიხსნა ახალგაზრდა მეცნიერთა პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში. სიმპოზიუმის მიზანი ჰუმანიტარული ცოდნის გავრცელება, დოქტორანტებისა და ახალგაზრდა მეცნიერების კვლევების პოპულარიზება და ქართველოლოგიური დარგების საერთაშორისო სამეცნიერო დისკურსში ჩართვის ხელშეწყობა გახლდათ. ახალგაზრდა მეცნიერთა საერთაშორისო სიმპოზიუმის ფარგლებში იმუშავა რამდენიმე დარგობრივმა სექციამ და მრგვალი მაგიდამ. სიმპოზიუმში მონაწილეობა მიიღო 150-მდე დოქტორანტმა და ახალგაზრდა მეცნიერმა საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლიდან; ასევე, 30-მდე ახალგაზრდა მეცნიერი უცხოეთის სხვადასხვა უნივერსიტეტიდან.

ლეიდენის (ჰოლანდია) უნივერსიტეტის პროფესორის საჯარო ლექციას თსუ-ში

20 ნოემბერს თსუმ კლევერინგას ლექციების ფარგლებში საჯარო ლექციას უმასპინძლა. ლეიდენის (ჰოლანდია) უნივერსიტეტის პროფესორმა ტონ ლიფაარდმა საჯარო ლექცია „თავისუფლებააღკვეთილი ბავშვები ნაიკითხა. პროფესორ ტონ ლიფაარდის საჯარო ლექცია კლევერინგას შეხვედრების ფარგლებში ჩატარდა, რომელიც ლეიდენის უნივერსიტეტის პროფესორის რუდოლფ კლევერინგას ცნობილი საპროტესტო გამოსვლის შემდეგ ყოველწლიურად იმართება. პროფესორმა კლევერინგამ 1940 წლის 26 ნოემბერს თავისი გამოსვლით გერმანელი ოკუპანტების მთავრობის ბრძანებით ებრაელი კოლეგების უნივერსიტეტიდან გათავისუფლება გააპროტესტა. საქართველოში კლევერინგას ლექცია პირველად ჩატარდა.

საჯარო ლექცია ლეიდენის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტების ორგანიზებით და საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს, ევროკავშირის დელეგაციისა და იუნისეფის მხარდაჭერით გაიმართა.

მემორანდუმი თსუ-სა და ებერტის ფონდს შორის

6 ნოემბერს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შარავაშიძემ და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფრიდრიხ ებერტის ფონდის საქართველოს წარმომადგენლობის დირექტორმა ია თიკანაძემ თანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი. მხარეთა ურთიერთთანამშრომლობა მოიცავს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით ერთობლივი პროექტების მომზადებას. მათ შორის, გერმანელი სოციალ-დემოკრატის კარლ კაუცკის წიგნის „საქართველო: გლეხთა სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკა. შთაბეჭდილებები და დაკვირვებები“ ქართულ ენაზე თარგმნას და გამოცემას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ლექსიკოგრაფიაში ევროპული სამაგისტრო პროგრამის ასოცირებული წევრი გახდა

პირველი გვერდიდან

ლექსიკოგრაფია სწრაფად განვითარებადი, ინტერდისციპლინური დარგია და. ამდენად, რვა უნივერსიტეტის რესურსის გაერთიანება სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელებისათვის სრულიად უნიკალურ პირობებს უქმნის სტუდენტებს. სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტები წელიწადში ერთხელ ირიცხებიან. სასწავლო პროცესში დარგის წამყვანი სპეციალისტები არიან ჩართული, რაც ლექსიკოგრაფიის მაღალ აკადემიურ დონეზე სწავლებას უზრუნველყოფს. გარდა თეორიული კურსებისა, პროგრამა მოიცავს პრაქტიკულ კურსებს და სტაჟირებას, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები ლექსიკოგრაფიული საქმიანობის უნარ-ჩვევებს სხვადასხვა გამომცემლობებში ეუფლებიან. პროგრამაზე ჩარიცხვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა ინგლისური და გერმანული ენების კარგი ცოდნაა. ლექსიკოგრაფიაში ევროპულ სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტების სწავლისა და ცხოვრების საფასურს ერასმუს+ პროექტის ფარგლებში მთლიანად ევროკავშირი აფინანსებს. სწავლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულებს თავისუფლად შეეძლებათ ბეჭდური და ელექტრონული ლექსიკონების შედგენა, გამომცემლობებში მუშაობა და სხვა. აღსანიშნავია, რომ სამაგისტრო კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტებზე გაიცემა ერთობლივი დიპლომი, რომელსაც ხელს აწერს პროგრამის დამფუძნებელი რვა უნივერსიტეტის რექტორი.

სამაგისტრო პროგრამაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ წევრად მიღება განაპირობა იმან, რომ უნივერსიტეტში ლექსიკოგრაფია სამივე აკადემიურ საფეხურზე ისწავლება, ასევე თბილისში 2016 წელს წარმატებით ჩატარებულმა ევროპის ლექსიკოგრაფთა ასოციაციის მე-17 საერთაშორისო კონგრესმა, რომელმაც საერთაშორისო ლექსიკოგრაფიულ წრეებში გაბარდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ლექსიკოგრაფიული ცენტრის ცნობადობა. 2019 წლიდან ევროპული პროგრამის სტუდენტებისთვის ლექციებს თსუ-ის პროფესორი თინათინ მარგალიტაძეც წაიკითხავს.

გლობალიზაციის ეპოქაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ლექსიკოგრაფიას, ლექსიკოგრაფიული რესურსების შექმნას ცალკეული ენების გადასარჩენად. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია ევროპულ სამაგისტრო პროგრამასთან უნივერსიტეტის დაკავშირება და მომავალი პროფესიონალი ლექსიკოგრაფებისათვის ევროპული განათლების მიცემა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიური მისია კვიპროსზე

2017 წლის აგვისტოში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის ინსტიტუტმა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ კონკურსში სრული დაფინანსება მოიპოვა. „სახელმწიფო გრანტის საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევისათვის“ ფარგლებში, მკვლევართა მიზანი კუნძულ კვიპროსზე არსებული ქართული კერების მოძიება და შესწავლაა. ამ მიზნით, მიმდინარე წლის ოქტომბერ-ნოემბერში სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ კუნძულ კვიპროსზე, სოფგადესის ნაეკლესიარის მახლობლად გათხრითი სამუშაოები დაიწყო.

აღსანიშნავია, რომ ეს თსუ არქეოლოგების მიერ კვიპროსზე წარმოებული პირველი გათხრები როდია. მანამდე, 2017 წლის მაისში ისინი არქეოლოგიური გათხრებს კუნძულ კვიპროსზე, სოფ. ალამინოსის ტერიტორიაზე (ლარნაკას მუნიციპალიტეტი) აწარმოებდნენ. აქ მათ მიერ, ჯერ კიდევ, 2016 წელს გამოვლინდა XIII-XVI საუკუნეების ეკლესიის ნაშთები და სამარხები. 2017 წელს თსუ არქეოლოგთა მიერ ალამინოსის გათხრები დასრულდა, ჩატარდა აღმოჩენილი ნაშთების სრული კონსერვაცია, ხოლო მოპოვებული მასალა ჩაბარდა ლარნაკას არქეოლოგიურ მუზეუმს. რაც მთავარია, გარკვეული ალბათობით დადგინდა, რომ თსუ მკვლევართა ჯგუფმა მიაკვლია ქართულ ეკლესიას, რომელიც მოხსენიებულია 1560 წელს პარიზში გამოცემული ქრონიკაში.

როგორც კვიპროსის არქეოლოგიური მისიის ხელმძღვანელი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არქეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ვახტანგ ლიჩელი განმარტავს: „ახალი არქეოლოგიური გათხრები დაიგეგმა სოფელ სოფგადესის მიმდებარე ტერიტორიაზე, რადგან სტეფანე ლუზინიელის მიერ 1580 წელს პარიზში გამოცემული წიგნის „აღწერილობა კუნძულ კვიპროსისა“, ქრონიკაში სწორედ ეს რეგიონია მითითებული ქართველთა სამოღვაწეო ასპარეზად. სოფგადესის ნაეკლესიარი კვიპროსის სამხრეთ ნაწილში, ქ. ლარნაკას მუნიციპალიტეტში, სოფ. კიტის დასავლეთით, ზღვიდან 300 მეტრის მოშორებით მდებარეობს. მცირე გორაკის თხემზე შემორჩენილია საკურთხევლის ნახევარწრიული აფსიდის ნანგრევი. საყურადღებოა, რომ ამ ნაშთებს აღგილობრივი მოსახლეობა წმ. გიორგის სახელს უკავშირებს, ხოლო კვიპროსის აღგილობრივი მოსახლეობისა და კვიპროსელი სასულიერო პირების ზეპირი გადმოცემით აქ არსებული ეკლესია ძველად ქართველი სასულიერო პირების კუთვნილებას წარმოადგენდა, ამ ნაშთებს ქართველების ეკლესიას უწოდებენ“.

მკვლევართა შეფასებით, ეს ფაქტები ლოგიკურ თანხვედრაშია ისტორიულ წყაროებში დაცულ ცნობებთან და სწორედ ამ მონაცემთა გაანალიზების საფუძველზე გადაწყდა სოფგადესის აღნიშნული ბორცვის არქეოლოგიური შესწავლა.

პირველ ეტაპზე წინასწარული სამუშაოები ჩატარდა ნაშთების პერიმეტრის, ხასიათისა და ქრონოლოგიის დასადგენად. სამუშაოები დაიწყო ბორცვის აღმოსავლეთ მხარეს. აქ შემორჩენილი შვერილი აფსიდა, რომელსაც ნახევარწრიული ფორმა აქვს, ნაგებია რამდენიმე წყობად ამოყვანილი ფლეთილი, სხვადასხვა ზომის ფორმის ქვებით. აფსიდის გათხრების დროს გამოვლინდა კირხსნარის მოლესილობა, მის მთელს გარე პერიმეტრზე. ეკლესიის პერიმეტრის კვლევის პროცესში რამოდენიმე ადგილზე, ქვის წყობასთან ერთად, გამოვლინდა კირქვის დეკორატიული ფილები გეომეტრიული ორნამენტებით: ფილის ზედაპირზე ამოღარულია კვადრატში ჩასმული წრე, რომელიც კვადრატის კუთხეებთან ქმნის სამკუთხედის ფორმის ორნამენტს. მათ შორის არსებული სიბრტყე კი შევსებულია სამი ამოღარული ხაზით. წრის შიგნით, ერთმანეთის პარალელურად დატანილია ორი ნუშისებური ამოღარული ორნამენტი, რომელთა შორისაც არსებული სიბრტყე შევსებულია ამოღარული პარალელური ირიბი ხაზებით. ნუშისებური ორნამენტების ბოლოს ამოღარულია ერთი ჰორიზონტალური ხაზი, რომელიც მოცემულ ორნამენტს შუაზე ჰყოფს. აღნიშნული ფილები, ადგილობრივი ხელოობის ნიმუშია და სავარაუდოდ, კანკელის ფილების ფრაგმენტებს წარმოადგენს.

ეკლესიის სამხრეთ და ჩრდილოეთ ნავის კედლებზე გამოვლინდა ადგილობრივი ფიქლის, ე.წ. „კვიპროსული მარმარილოს“ იატაკის ფენილი, ხოლო მის გვერდით გავლებულ თხრილში, ცენტრალური ნავის სამხრეთ კედელზე, დაფიქსირდა კირ-დუღაბით და ნამტვრევი ქვით შედგენილი წრიული გეგმის სტრუქტურა - ნავების გამყოფი სვეტის ძირის დასაყრდნობი სიბრტყე, ერთგვარი სვეტის ბაზა; ამ სტრუქტურას ჩრდილოეთით ემიჯნება ეკლესიის იატაკიდან 28 სმ-ით აწეული ორი საფეხური, რომელიც საკურთხევლის აფსიდის დასავლეთი მონაკვეთის ნაწილი უნდა იყოს; ეს დეტალი VI-VII საუკუნეების ბაზილიკების მახასიათებელი ნიშანია. გათხრების დროს თხრილის მთელ პერიმეტრზე აღმოჩნდა კრამიტისა და კერამიკული ნაწარმის ფრაგმენტები. ამ ეტაპზე ჩატარებული სამუშაოების მიხედვით, სოფგადესის ეკლესიის რამდენიმე სამშენებლო ფენა დადასტურდა: 1. ადრეული შუა საუკუნეების სამნავიანი ბაზილიკა, ნახევარწრიული შვერილი აფსიდით, ძელური სახურავითა და კრამიტით დაბურული (VI ს). 2.არქეოლოგიურ მონაპოვარშია XII-XVI სს-ის მოჭიქული კერამიკა, მოხატული ბათქაშის ფრაგმენტები. ეს აღმონაჩენი საავარაუდოდ უკვე, ეკლესიის არსებობის მეორე ეტაპს განეკუთვნება, სადაც პარიზული ქრონიკის მონაცემებით ქართული კვალი უნდა ვეძიოთ. მომავალ წელს გათხრები კვლავ გაგრძელდება.

გათხრების ორგანიზება კვიპროსზე ადრინდელის მსგავსად კვლავ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ ითავა. საქართველოს საელჩომ კვიპროსის რესპუბლიკაში დიდი წვლილი შეიტანა ექსპედიციის მიერ დაგეგმილი სამუშაოების ორგანიზებაში. ექსპედიციას დიდი მხარდაჭერა ჰქონდა ასევე კვიპროსში მოღვაწე მამა ზაქარის და ფეხბურთელ თემურ ქეცბაიას მხრიდან.

სკანდინავისტიკის ცენტრი და სკანდინავიაში სწავლის შესაძლებლობები თსუ სტუდენტებისთვის

პირველი გვერდიდან

ზე მოქმედებს ფილოლოგიის ერთიანი სადოქტორო პროგრამა, რომლის ერთ-ერთ ქვედარგს სკანდინავიური ფილოლოგიაც წარმოადგენს.

საამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი სტუდენტები ხშირად მონაწილეობენ სხვადასხვა გაცვლით პროგრამებში. მათ არაერთხელ აუმაღლებიათ ცოდნის დონე ოსლოს, ბერგენის, მალმეს, ჰელსინკის უნივერსიტეტებში და აგრეთვე სხვა სკანდინავიურ სასწავლო დაწესებულებებში. ეს ხდებოდა და ხდება როგორც შედარებით ხანგრძლივი სასწავლო პროგრამების წყალობით, ისე სგიპენდიებით სკანდინავიურ საბაჟულო სკოლებში მონაწილეობის მისაღებად.

რაც შეეხება თავად თსუ-ს სკანდინავისტიკის ცენტრს, ჩვენთან ძალზე ხშირად სტუმრობენ მაღალი რანგის სკანდინავიელი პროფესორ-მასწავლებლები, მწერლები, პოლიტიკოსები, დიპლომატები. ისინი აგარებენ საჯაროლექციებსა და პრეზენტაციებს სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე, რაც, როგორც წესი, სტუდენტთა დიდ ინტერესს იწვევს.

გვანცა ჩიგიაშვილი თსუ კურსდამთავრებულია, მან სკანდინავისტიკის ცენტრში როგორც ნორვეგიული, ისე შვედური ენა შეისწავლა, ორჯერ გაიმარჯვა ცენტრის მიერ ორგანიზებულ შიდა ტესტში და სკანდინავიური საბაჟულო პროგრამების მონაწილეც გახდა. ის თავის ისტორიას გვიყვებს:

„ფსიქოლოგიის მიმართულების მეორე კურსზე ვიყავი, როდესაც თსუ სკანდინავისტიკის ცენტრში დავიწყე სიარული. თავდაპირველად, შვედური ენის შესწავლას შევუდექი, ერთი წლის შემდგომ კი – ნორვეგიული ენითაც დავინტერესდი.

შვედეთი ...

თსუ-დან შვედეთის საბაჟულო სკოლაში 2014 წელს ვიყავი. თსუ-ში წელიწად-ნახევარი ვსწავლობდი შვედურ ენას, მესამე ეტაპის დასრულების შემდგომ ჩვენი ლექტორის მიერ ორგანიზებულ შიდა ტესტში გავიმარჯვე და მე მერგო საბაჟულო სკოლაში საბუთების გაგზავნის შესაძლებლობა წილად. ჩემ დროს, საქართველოდან მხოლოდ ერთ სტუდენტს უფინანსებდა შვედეთის მთავრობა საბაჟულო სკოლაში სწავლას და მე აღმოვჩნდი ეგ იღბლიანი. შვედეთში მართლაც სასიამოვნო გამოცდილება მივიღე: ნახევარი თვე გავატარე შვედეთის პატარა სოფლის, აქსვალის საჯარო სკოლაში (Axvall Folkhögskola), სადაც სულ მცირე 10 ქვეყნის წარმომადგენელთან ერთად ვსწავლობდი შვედურ ენასა და კულტურას და კიდევ უფრო მეტად შემიყვარდა ეს ქვეყანა და ენა.

ნორვეგია ...

ერთი წლის შემდგომ ნორვეგიის მთავრობის სტიპენდიანტი გავხდი და 4 ქართველთან ერთად (რომლებთანაც დღემდე ძალიან ახლო მეგობრობა მაკავშირებს) ოსლოს უნივერსიტეტის საბაჟულო სკოლაში წავედი. აკადემიური თვალსაზრისით, ეს კურსი უფრო მეტად იყო მომთხოვნი. შვედეთში უფრო თავისუფალი გარემო იყო, იქ უფრო მეტად ვიყავი ფოკუსირებული რომ არსებული ცოდნა პრაქტიკაში გამოგვეყენებინა და სასწავლო პროცესი არ იყო ძალიან გადატვირთული; ნორვეგიაში კი – ყოველდღიურად ვესწრებოდით 2-3 საათიან ლექციებს, აქტიურად ვსწავლობდით და ვიღრმავებდით ცოდნას და კურსის ბოლოს სერიოზული გამოცდის ჩაბარებაც კი მოგვიწია, რომლის შესაბამისადაც მივიღეთ კურსის გავლის და ენის ცოდნის დონის განმსაზღვრელი სერტიფიკატი.

მოკლედ რომ შევაჯამო, თითოეულმა კურსმა ნამდვილად ძალიან დიდი გამოცდილება შემძინა და სკანდინავიისადმი სიყვარული კიდევ უფრო გამიძლიერა... და რაც მთავარია, არაჩვეულებრივი შესაძლებლობა მომცა, რომ ეს ენები პრაქტიკაში გამომეყენებინა ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია ენის შესწავლის დროს.

რამდენად რთული იყო ორივე ენის შესწავლა?

როგორც აღვნიშნე, თავდაპირველად, შვედური ენის შესწავლა დავიწყე. შვედური ენა საკმაო სირთულით გამოირჩევა, ვინაიდან ქართულისგან მკაფიოდ განსხვავებული და შეიძლება ითქვას, „უცნაური“ გრამატიკა აქვს; გამოთქმაც რადიკალურად განსხვავებულია (შესაძლოა, სიტყვა ერთი ფორმით იწერებოდეს და სრულიად განსხვავებულად წარმოითქვას), თუმცა ნამდვილად ძალიან ძლიერი და თავის საქმეზე უდავოდ შეყვარებული ლექტორი (ლიკა ჩაფიძე) მასწავლიდა და არც ისე რთული იყო სწავლის პროცესისათვის ფეხს აწყობა. ახალი ენის სწავლის დროს ყველაზე კრიტიკულია, რომ დასაწყისიდანვე საფუძვლიანად დაიწყო ენის შესწავლა, რასაც ლიკას დახმარებით მარტივად გავართვით თავი.

ნორვეგიული ენის სწავლა როდესაც დავიწყე, უკვე საკმაოდ კარგად ვფლობდი შვედურ ენას – ამ ფაქტმა გარკვეულწილად, ხელიც შემიწყო და შემიშალა კიდეც ნორვეგიულისთვის „ალღოს აღებაში“; მოგეხსენებათ, რომ შვედური და ნორვეგიული ენები მნიშვნელოვნად გვანან ერთმანეთს, თუმცა ამავდროულად ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ერთი შეხედვით, ძალიან ბევრი სიტყვა გავდა ერთმანეთს და თავიდან ყოველთვის ეტყობოდა ჩემს გამოთქმას შვედურის გავლენა და გარდა ამისა, უფრო მეტი ძალისხმევის დახარჯვა მიწევდა არა იმაზე, რომ გრამატიკა შემესწავლა (შვედური და ნორვეგიული ენების გრამატიკის წესები ძალიან გავს ერთმანეთს), არამედ იმაზე, რომ სწორი ფორმით დამემახსოვრებინა ნორვეგიული სიტყვები და „ჩამეხშო“ შვედური ენის ცოდნა. ეს გამოწვევაც არ იყო ძალიან რთული, რადგან ენას ქალბატონი თამარ კვიჟინაძე, არჩევულებრივი სპეციალისტი მასწავლიდა, გარდა ამისა, ჩემს ჯგუფს პირველი დონიდანვე ლექციათა უმეტესობას ნორვეგიელი ლექტორი გვიკითხავდა, რამაც ვფიქრობ, რომ ძალიან გამიმარტივა ამ ენის, განსაკუთრებით სწორი გამოთქმების, სწავლა.

***

2014-15 წლების საბაჟულები მართლაც გამორჩეულად დასამახსოვრებელი იყო ჩემთვის. თითოეულ ქვეყანაში სწავლამ შესაძლებლობა მომცა, რომ საქართველოში სწავლის პერიოდში მიღებული ცოდნა პრაქტიკულად, ყოველდღიურობაში გამომეყენებინა და კიდევ უფრო გამეღრმავებინა არსებული ცოდნა.

სკანდივანია ყოველთვის იწვევდა ჩემში დიდ ინტერესს და ყოველთვის განსაკუთრებით მიყვარდა ეს მხარე (რამაც მიბიძგა, რომ შემესწავლა ეს უცხო ენები). ამ საბაჟულო სკოლებში მონაწილეობამ კიდევ უფრო დამარწმუნა ჩემი არჩევანის სისწორეში და კიდევ უფრო გამიძლიერდა ამ ქვეყნებთან სიახლოვისა და სიყვარულის განცდა.

იმ ახალგაზრდებს, რომლებიც სკანდინავისტიკით არიან დაინტერესებულნი, ვურჩევდი, რომ აუცილებლად შეისწავლონ ამ ენებიდან ერთ-ერთი მაინც. ახალი ენის შესწავლა, დამეთანხმებით რომ არჩევულებრივი თავგადასავალია, სკანდინავიური ენები გამორჩეული ჟღერადობისა და ისტორიის გამო (და თსუ სკანდინავისტიკის ცენტრის გამორჩეული ლექტორების გამო), განსაკუთრებული ინტერესით და მოტივაციით განაწყობს სტუდენტს. იმათ კი, ვინც უკვე სწავლობს ამ ენებიდან რომელიმეს, ვურჩევდი, რომ მაქსიმალურად ბევრი დრო დაუთმონ ენის შესწავლას და გარდა იმისა, რომ სასწავლო პროგრამას მიყვნენ, „კლასგარეშეც“ ბევრი იკითხონ და განსაკუთრებით, უსმინონ ადგილობრივების საუბარს – ასე ყურს მიაჩვევენ იმ მრავალგვარ გამოთქმასა და დიალექტს, რომლითაც გამოირჩევა როგორც შვედეთი, ასევე ნორვეგია. ლექტორები ნამდვილად მისცემენ შესაძლებლობას, რომ საფუძვლიანად შეისწავლონ ორივე ენა და სურვილის შემთხვევაში, დამატებითი რესურსებითაც მოამარაგებენ“, – ამბობს გვანცა.

ერთი წელიწადი ირლანდიაში – მნიშვნელოვანი გამოცდილება თსუ სტუდენტებისთვის

მარიამ მარსაგიშვილი თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტია. თსუ გაცვლითი პროგრამით ირლანდიაში 1 წელი იმყოფებოდა. ლიმერიკის უნივერსიტეტმა 1ლი სემესტრის გავლის შემდეგ მარიამს მე-2 გაზაფხულის სემესტრში სწავლის გაგრძელების საშუალება მისცა, მარიამის ერთწლიანი წარჩინებული სწავლის შემდეგ კი თსუ-ს მადლობის წერილი გამოუგზავნა.

მარიამ მარსაგიშვილი გვიამბობს: „ამჟამად ვსწავლობ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მე-4 კურსზე და რომ არა ირლანდიაში გატარებული ერთი წელიწადი, ვერასოდეს, ან ძალიან გვიან მივხვდებოდი, რისი გაკეთება მინდა ცხოვრებაში. მიუხედავად იმისა, რომ ამ ფაკულტეტზე ჩაბარება თავიდანვე გააზრებული არ მქონდა, საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღე, რადგან მარკეტინგის საფუძვლიანად შესწავლა მინდა“.

2016 წელს ირლანდიის ლიმერიკის უნივერსიტეტმა პირველად გამოაცხადა მიღება ქართველი სტუდენტებისთვის ერასმუსის გაცვლითი პროგრამით. მოთხოვნები იყო ინგლისური ენის სერთიფიკატი მინიმუმ B2 დონის, GPA მინიმუმ 3,2. ამ კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემდეგ 2016 წლის სექტემბრიდან მარიამმა ერთი წლით ირლანდიაში, სხვა გარემოში დაიწო სწავლა.

„გულწრფელად შემიძლია ვთქვა, რომ ერასმუს+ ცხოვრების შემცვლელი გამოცდილებაა. ნაცნობ გარემოს მოშორება და მარტო ცხოვრება ძალაუნებურად გცვლის. ირლანდიამ დამანახა, რომ მსოფლიოში უამრავი შესაძლებლობაა და მე, როგორც პატარა ქვეყნის წარმომადგენელს, სხვებზე მეტი შრომა მჭირდება საერთაშორისო ბაზარზე წარმატების მისაღწევად. მტკივნეულია, როდესაც ევროკავშირის წამყვანი ქვეყნების სტუდენტებმა არ იციან, საქართველო რომ ქვეყანაა და ამერიკის ჯორჯიას შტატში ეშლებათ. პრობლემებიც მათ სულ სხვა აქვთ, ვიდრე განვითარებადი ქვეყნის სტუდენტებს.

მიუხედავად იმისა, რომ აკადემიური მოსწრება ირლანდიაში, შეიძლება ითქვას, საშუალო, ან საშუალოზე ოდნავ მაღალი მქონდა, ლიმერიკის უნივერსიტეტმა მადლობის წერილი გამოუგზავნა თსუ-ს სიტყვებით „She is a credit to your University“. წელს კი ირლანდიაში საქართველოდან 6 სტუდენტი წავიდა, რაშიც, გარკვეულწილად, მე და ონისე წულაიას მიგვიძღვის წვლილი, ონისე და მე ერთად ვიყავით გასულ წელს ირლანდიაში. ყველა უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტის ყველა სტუდენტს ვურჩევ, რომ მაქსიმალურად გამოიყენონ შესაძლებლობები და ისწავლონ საზღვარგარეთ“, – აღნიშნავს მარიამი.

ირლანდიიდან ჩამოსვლის შემდეგ მარიამმა თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს თხოვნით მიმართა, რათა შეცვლილიყო სტუდენტებისთვის კრედიტების აღიარებასთან დაკავშირებული წესდება. მისი თქმით, გაცვლითი პროგრამებით წასულ სტუდენტების უმრავლესობას ხშირად პრობლემები ექმნებათ კრედიტების აღიარებასთან დაკავშირებით.

„წესდება, რომლის მიხედვითაც კრედიტების აღიარება ხდება, ძველია და აღარ შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს. ზუსტად ეს პრობლემა შემექმნა მეც, რის გამოც გადავწყვიტე, რომ ვინმეს უნდა ეცადა ამ წესდების შეცვლა და ვცადე დამერწმუნებინა ადმინისტრაცია იმაში, რომ აღნიშნული კანონი უსამართლო და შეუსაბამოა ევროპულ სტანდარტებთან.

თსუ-ში სწავლის პროცესი ბევრ სირთულესთან არის დაკავშირებული: არაკვალიფიციურად თარგმნილი ლიტერატურა, მოძველებული შეფასების სქემები, ზოგიერთი ლექტორის არაკომპეტენტურობა ჩვენს მოგივაციაზე ხშირად უარყოფითად აისახება. ეს პრობლემები სტუდენტებს უნივერსიტეტისგან ხშირ შემთხვევაში გვაშორებს და ხიდჩატეხილობის განცდას გვიქმნის. თან ეკონომიკის და ბიზნესის უზარმაზარ ფაკულტეტზე ძალიან მარტივია, 5000 სტუდენტს შორის დაიკარგო და შენი შესაძლებლობები ვერ გამოვალინო“, – ამბობს მარიამი.

მარიამის ინიციატივა საფუძველი გახდა იმისა, რომ თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა დაიწყო თსუ-ში სტუდენტთა მობილობის ფარგლებში გადმოსულ და აღდგენილ სტუდენტთა კრედიტების აღიარების წესში ცვლილებებზე მუშაობა. ახალი წესი შემუშავებული და დამტკიცებული იქნება 2017 წლის ბოლომდე.

სიახლეები

დიპლომატიის დღე თსუ-ში

12 ნოებერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დიპლომატის დღის აღსანიშნავად საგარეო საქმეთა სამინისტროს ინტერაქციულ შეხვედრას "ერთი დღე ქართველ დიპლომატთან" უმასპინძლა. ვიცე-პრემიერმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ მოწვეულ სტუმრებს და სტუდენტებს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მიმართულებები და უწყების საქმიანობის პრიორიტეტები გააცნო.

საერთაშორისო ურთიერთობები, როგორც დამოუკიდებელი სპეციალობა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1991 წლიდან არსებობს. ახლადშექმნილ კათედრას ალექსანდრე რონდელი ხელმძღვანელობდა.

თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტს ეწვია

10 ნოემბერს თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ნუნუ ოვსიანიკოვა ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტს ეწვია. ვიზიტი ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ პროგრამის ადმინისტრაციული პერსონალის მობილობის ფარგლებში განხორციელდა. თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და თსუ საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი თეა გერგედავა იენის უნივერსიტეტის წარმომადგენლებს შეხვდნენ. მხარეებმა შეხვედრაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და იენის უნივერსიტეტის ადმინისტრაციული მოწყობის საკითხები განიხილეს, ადმინისტრაციული მართვის გამოცდილება გაუზიარეს და სამომავლო თანამშრომლობაზე ისაუბრეს.

მიხეილ ჩხენკელი ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლით დაჯილდოვდა

პირველი გვერდიდან

როგორც თსუ რექტორმა გიორგი შარვაშიძემ აღნიშნა, მიხეილ ჩხენკელი დაჯილდოვდა უნივერსიტეტის ყველაზე მაღალი ჯილდოთი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლით იმ ღვაწლისთვის, რომელიც შეიტანა უნივერსიტეტის განვითარებაში, საორგანიზაციო საქმიანობისთვის და ყველა იმ დადებითი ცვლილებისთვის, რომელიც მის მიერ იყო ინიცირებული და ორგანიზებული. „აკადემიურმა საბჭომ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება. ჩვენი კონტაქტები იმედია გაგრძელდება, ასევე ვიმედოვნებთ, რომ უნივერსიტეტელი ყოველთვის რჩება უნივერსიტეტელი, რა თანამდებობაზეც არ უნდა იყოს“ – განაცხადა გიორგი შარვაშიძემ.

თსუ აკადემიური საბჭოს წევრის, პროფესორ ნინო ოკრიბელაშვილის თქმით, „მიხეილ ჩხენკელი სულ ერთი წელია რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობს, მაგრამ მან შეძლო ურთიერთობის განსაკუთრებული მოდელის ჩამოყალიბება როგორც თანამშრომლებთან, ასევე აკადემიურ პერსონალთან. რაც მთავარია, მას აქვს ხედვა, როგორც საუნივერსიტეტო განათლებაზე, ასევე ის კარგად ხედავს სტუდენტის პრობლემებს, რომელიც მას სკოლიდან მოჰყვება“.

თსუ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთა გუნდი კვლავ გამარჯვებულია

პირველი გვერდიდან

ბით დაკომპლექტებული გუნდები.

წლევანდელი შეჯიბრის ფინალი 19 ნოემბერს საქართველოს უზენაეს სასამართლოში გაიმართა და მასში გაიმარჯვა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთა გუნდმა, რომლის შემადგენლობაში არიან გიორგი ალავერდაშვილი (მაგისტრატურის პირველი სემესტრი), გულიკო მაჭარაშვილი (ბაკალავრიატის მე-7 სემესტრი), თამარ ონიანი (ბაკალავრიატის მე-7 სემესტრი) და ნიკა პირველაშვილი (მაგისტრატურის პირველი სემესტრი).

გიორგი ალავერდაშვილი:

„ჩვენი ჯგუფის შექმნა თათოსა (თამარი) და გულიკოს დამსახურებაა. მათ გვთხოვეს მე და ნიკას, რომ ერთობლივად მიგვეღო მონაწილეობა აღნიშნულ პროექტში. გუნდის ჩამოყალიბებას, გარდა ჩვენს შორის არსებული მეგობრობისა, ასევე დაეღო ჩვენი საერთო ინტერესებიც. კერძოდ, ოთხივე დაინტერესებული ვართ საკონსტიტუციო სამართლით და შესაბამისად, უფლებათა სამართლითაც. აღნიშნული პროექტი კი კარგ შესაძლებლობას წარმოადგენდა ჩვენთვის თსუ-ს იურიდიულ ფაკულტეტზე მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისთვის. ჯგუფში მუშაობა საინტერესო იყო ოთხივესთვის. ჩვენი სტრატეგია იყო საკითხების გადანაწილება და თითოეული საკითხის ინდივიდუალურად დამუშავება, ამის შემდგომ კი ერთმანეთში ვცვლიდით პოზიციებს. ვფიქრობ, რომ ჩვენი გამარჯვების ერთ-ერთი ელემენტი სწორედ გუნდურობაში იყო, რადგან უშუალოდ იმიტირებულ პროცესებზე ყოველთვის ვცდილობდით ერთმანეთის პოზიციები გაგვემყარებინა და ვყოფილიყავით თანმიმდევრულები ჩვენს არგუმენტაციაში. ჩემთვის პირადად დიდი სიამოვნება იყო თათოსთან, გულიკოსა და ნიკასთან ამ იმიტირებულ პროცესზე მუშაობა.

ჩვენ ჯგუფურ მუშაობას მეტწილად სწორედ უნივერსიტეტის ფარგლებში ვახორციელებდით. ამიტომ, დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის ადმინისტრაციას, ასევე ქალბატონ თამარ ბარანდიას იმისთვის, რომ უბრუნველყვეს ჩვენთვის უნივერსიტეტის ფარგლებში კომფორტული გარემოს შექმნა და უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურით სარგებლობის შესაძლებლობა, მათ შორის არასამუშაო საათებში.

ცალკე გვსურს გამოვყოთ თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, რომლეთაც ლომის წილი მიუძღვის ჩვენს გამარჯვებაში. დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ ქალბატონ ქეთი ერემაძეს, რომელმაც ძალიან მნიშვნელოვანი რჩევები მოგვცა საწყის ეტაპზე, ვიდრე უშუალოდ იმიტირებულ პროცესზე მოგვიწევდა გასვლა. მისი რჩევები კონკრეტულ სამართლებრივ ნიუანსებს ეხებოდა, რისმა გათვალისწინებამაც უშუალოდ იმიტირებულ პროცესზე უპირატესობის მოპოვების შესაძლებლობა მოგვცა.

ასევე, უღრმესი მადლობა გვინდა გადავუხადოთ ბატონ გიორგი კვერენჩხილაძეს, რომელმაც სამართლის თეორიის ცალკეულ ასპექტებზე გაგვიმახვილა ყურადღება. მის მიერ მოცემულმა რჩევამ, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ფინალურ ეტაპზე გამარჯვების მოპოვებაში, რადგან შეჯიბრში მონაწილე არც ერთ გუნდს არც ერთ ეტაპზე მსგავს დოქტრინალურ ასპექტებზე ყურადღება არ გაუმახვილებიათ. დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ ასევე ქალბატონ ნანა ჭიღლაძესა და ბატონ დიმიტრი გეგენავას, რომლებიც დაგვეხმარნენ დაგვეზუსტებინა და გაგვეაზრებინა მოცემულ კაზუსში ცალკეული ბუნდოვანი საკითხები, რაც შემდგომ გამოგვადგა კიდეც უშუალოდ იმიტირებულ პროცესზე. ვფიქრობთ, რომ ჩვენს გამარჯვებაში ასევე დიდი როლი ითამაშა ბატონ გიორგი კახიანთან გავლილმა იმიტირებულმა პროცესებმა. ბატონი გიორგი თსუ-ში უკვე წლებია ასწავლის იმიტირებულ პროცესს საკონსტიტუციო სამართალში და ამ კურსის გავლამ დიდი გამოცდილება მოგვცა და გარკვეული უნარები შეგვძინა, რაც ვფიქრობთ, რომ გამარჯვების განმაპირობებელი ერთ-ერთი კრიტერიუმი იყო.“

გულიკო მაჭარაშვილი:

„იმიტირებული სასამართლო პროცესის შეჯიბრი ადამიანის უფლებათა სამართალში ჩვენთვის, ერთი მხრივ, წარმოადგენდა განსაკუთრებულად კარგ შესაძლებლობას გამოგვეცადა საკუთარი ცოდნა, პოზიციების ნათლად წარმოჩენის ორატორული ნიჭი და დაძაბულ გარემოში მუშაობის უნარი. ხოლო, მეორე მხრივ, იყო დიდი გამოწვევა, რადგან ასპარეზობდე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით, მართლაც ძალიან დიდ პასუხისმგებლობას გაკისრებს. შინაარსობრივად, ასეთ მნიშვნელოვან ჩემპიონატში გამარჯვება, რა თქმა უნდა, ჩვენთვის ძალიან სასიხარულო იყო.

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს გამარჯვებაში ლომის წილი ნამდვილად ეკუთვნის ჩვენს უნივერსიტეტს და მაღალი პროფესიონალიზმით გამორჩეულ პროფესორებს. ვფიქრობ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმოადგენს ანგარიშგასაწევ ძალას და მისი სამართლის ფაკულტეტი ნამდვილად არის ერთ-ერთი საუკეთესო. უნივერსიტეტი, გარდა მაღალი ხარისხის ცოდნისა, გვაძლევს თავისუფლად აზროვნების შესაძლებლობას და გვაქვს პატივი პირადად ვისწავლოთ იმ ადამიანებისგან, რომლებიც ქმნიან სამართლებრივ ამინდს იურისპრუდენციის ყველა მიმართულებით.

რაც შეეხება პრიზებს, მთავარი პრიზი ჩემთვის და ჩვენი გუნდისთვის, იყო ის სტატუსი, რაც მოვიპოვეთ. ამით, ვფიქრობთ, სიმბოლური მადლობა გადავუხადეთ ჩვენს უნივერსიტეტს ცოდნის მოცემისა და გვერდით დგომისთვის.

არ წარმოადგენდა მარტივ ამოცანას გაგვეგლო ყველა ის ეტაპი, რამაც საბოლოოდ გამარჯვებასთან მიგვიყვანა, ვინაიდან იმიტირებულ პროცესში მონაწილეობას იღებდა საქართველოში აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების იურიდიული ფაკულტეტების/სამართლის სკოლების ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებით დაკომპლექტებული გუნდები. კონკურენცია იყო საგრძნობლად მაღალი თუმცა, შემართებამ და ჩვენი უნივერსიტეტის გვერდით დგომამ შეგვაძლებინა ეს ყოველივე.

ასევე, აქვე, აღვნიშნავ, რომ ჩვენი ემოციები გაასმაგდა, როდესაც მივიღეთ შემოთავაზებები სტაჟირების გასავლელად სხვადასხვა დაწესებულებებში. გულწრფელად რომ ვთქვა, პირადად ჩემთვის საკონსტიტუციო სასამართლოში სტაჟირების შემოთავაზება წარმოადგენდა შრომის დაფასების ყველაზე მაღალ საფეხურს და ამისთვის მადლობელი ვარ თავად საკონსტიტუციო სასამართლოსი, ორგანიზატორების და ჩემი უნივერსიტეტის“.

ნიკა პირველაშვილი:

„ბუნებრივია, კონკურსში მონაწილე გუნდის წევრები მეტნაკლებად ვიცნობდით ერთმანეთს საკონსტიტუციო სასამართლოს საზაფხულო სკოლებიდან და სხვა პროექტებიდან; ვიცოდით, რომ თითოეული გუნდის წევრი ბოლომდე დაიხარჯებოდა, ამიტომ იოლი გამარჯვების ილუზია არავის ჰქონია, თუმცა გამარჯვება რაც უფრო რთულია, მით უფრო სასიამოვნოცაა. ჩვენ გვჯეროდა ერთმანეთის და ვთამაშობდით იმ ენთუზიაზმით, რომ ვიცავდით უნივერსიტეტის სახელს. საბოლოო ჯამში ცოდნამ, დაუღალავმა შრომამ და გუნდურობამ თავისი შედეგი მოიტანა და ჩვენ გავიმარჯვეთ.

დავალებად მოცემული გვქონდა კაზუსი ადამიანის უფლებათა სამართლის სფეროდან, რომელიც შეეხებოდა ინტელექტუალური შემოქმედებისა და გამოხატვის თავისუფლებას. ჩვენ მოგვიწია კაზუსის ფარგლებში, როგორც მოსარჩელე, ისე მოპასუხე მხარის პოზიციის წერილობითი და ზეპირი ფორმით დასაბუთება. შესაბამისად, ორი დღის განმავლობაში ჩვენი გუნდი Lux Libertas ორჯერ იცავდა მოსარჩელის, ორჯერ კი მოპასუხის პოზიციას.

კონკურსში მონაწილეობა საინტერესო იყო იმდენად, რამდენადაც სწორედ იმიტირებულ პროცესებში გამოიცდება ჩვენი რეალური შესაძლებლობები და ეს არის ერთგვარი მზადება რეალური პროცესების წინ. ჩვენ მოგვიწია თხუთმეტი წუთის ინტერვალით ჯერ ნახევარფინალში მოპასუხე მხარის პოზიციის დაცვა, ხოლო შემდგომ, ფინალში, ჩვენივე არგუმენტების გაბათილება მოსარჩელის პოზიციის მხრიდან. როგორც უკვე აღვნიშნე, მოწინააღმდეგე გუნდები დაკომპლექტებული იყვნენ ძალიან ძლიერი და კარგად მომზადებული სტუდენტებით, რამაც კიდევ უფრო მეტი ხიბლი შესძინა ამ კონკურსს.

იმიტირებული პროცესები არის ყველაზე მარტივი საშუალება დაინახო შენი სუსტი მხარეები და პროცესიდან პროცესამდე ეცადო მათ გამოსწორებას. თუ ამას ახერხებ, მაშინ პროფესიული წინსვლაც არ დააყოვნებს. ვფიქრობ ამ იმიტირებული პროცესების მანძილზე ჩვენმა გუნდმა და მისმა თითოეულმა წევრმა შეძლო ამის მიღწევა.

მინდა აღვნიშნო ჩვენი უნივერსიტეტის მხარდაჭერა და მადლობა გადავუხადო თითოეულ ლექტორს, რომელიც უშუალოდ გვეხმარებოდა ან უბრალოდ მთელი გულით გვგულშემატკივრობდა მთელი პროექტის განმავლობაში.“

თამარ ონიანი:

„ჩვენს გუნდში ორი ბაკალავრიატის მეოთხე კურსის (თათო, გულიკო), ორი კი მაგისტრატურის (ნიკა, გიორგი) პირველი კურსის სტუდენტი იყო. კონკურსი რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობდა, თავდაპირველად რეგისტრაციის საფუძველზე გუნდებს გადმოგვეგზავნა ჰიპოთეტური კაზუსი, რომელთან დაკავშირებითაც 5 კითხვაზე უნდა მოგვემზადებინა წერილობითი განაცხადი. წერილობითი განაცხადი ოცდახუთმა გუნდმა გააგზავნა, თუმცა შეჯიბრის წესების თანახმად, მათგან საუკეთესო 8 გუნდი შეირჩა უშუალოდ იმიტირებული პროცესისათვის.

შერჩეულ გუნდებს ძალიან საინტერესო ტრენინგი ჩაგვიტარდა, რომელიც ითვალისწინებდა შეჯიბრის საქმესთან დაკავშირებული შინაარსობრივი საკითხების განხილვას და საჭირო ლიტერატურისა თუ სასამართლო საქმეების გადმოცემას; შესაბამისად, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ჩემპიონატი, არა მარტო, იმით იყო საინტერესო, რომ ჩვენ უკვე მიღებული ცოდნის საფუძველზე გვიწევდა პროცესებზე გამოსვლა, არამედ, საშუალება მოგვცა მცირე დროში ახალი ინფორმაციაც მიგვეღო, რისთვისაც განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ქალბატონ ნათია ხანთაძეს, ქალბატონ ეკატერინე ლომთათიძესა და ბატონ დავით ზედელაშვილს.

კონკურსის საორგანიზაციო გუნდი განსაკუთრებულ პატივისცემას იმსახურებს, რადგან ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რათა მაქსიმალურად კომფორტული გარემო შეექმნათ.

კონკურსის სირთულეს რაც შეეხება, სადავო საქმე პროცესის ორივე მხარეს აძლევდა ძლიერი არგუმენტაციის შესაძლებლობას. შერჩეული 8 გუნდიდან 6 გუნდი FREEUNI-ის წარმოადგენდა, ხოლო 2 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. ჩვენს ყველა პროცესზე თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის გუნდებს შეეხვდით, რომლებიც ნამდვილად გამოირჩეოდნენ მათი ცოდნითა და მომზადების დონით. (დიდი პატივისცემა თითოეულ მათგანს ჩვენგან).

სასამართლო პროცესები უზენაეს სასამართლოში გაიმართა, მოსამართლეებად მოწვეული იყვნენ ადამიანის უფლებათა და კონსტიტუციური სამართლის გამორჩეული იურისტები საქართველოში სახელმწიფო ორგანოებიდან, იურიდიული ფირმებიდან, აკადემიიდან და არასამთავრობო ორგანიზაციებიდან. ფინალურ პროცესზე კი საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე ბატონი თეიმურაზ გუღუში.

მსგავსი პროექტები სტუდენტებს უპირველესად საკუთარი თავის აღმოჩენის ან ახალი რაკურსით დანახვის შესაძლებლობას აძლევს, აღარ ვსაუბრობ იმ ცოდნაზე, რომელსაც აქ ვიღებთ.

ჩვენთვის ეს გამარჯვება დაძაბული, მაგრამ უკიდურესად საინტერესო ბრძოლის შედეგად მოვიდა, რისთვისაც ბევრი ვიშრომეთ, ყველა დეტალის დახვეწაზე მუდმივ რეჟიმში ვმუშაობდით, ბოლო წუთებშიც კი, სანამ სასამართლოს წინაშე წარვსდგებოდით“.

ფესტივალის „დებიუტი“ ჯილდო საუკეთესო ქალისა და მამაკაცის როლის შესრულებისთვის

სტუდენტური თეატრების საერთაშორისო ფესტივალის „დებიუტი“ საუკეთესო ქალისა და მამაკაცის როლის შესრულებისთვის ჯილდო თსუ დასის მსახიობებს ქეთევან ოქუაშვილსა და გიგი ქადაგიშვილს გადაეცათ. საერთაშორისო ფესტივალის საუკეთესო თეატრალური ანსამბლის პრიზი მიიღო ვილნიუსის უნივერსიტეტის სტუდენტურმა დასმა. გრანპრის მფლობელი ელგავას სტუდენტური თეატრი გახდა.

4 დღის განმავლობაში ფესტივალში მონაწილე სტუდენტურმა თეატრალურმა დასებმა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის სცენაზე სპექტაკლები წარმოადგინეს.

ქეთევანი და გიგი გვიამბობენ ფესტივალის დღეებსა და თსუ-ში სტუდენტებისთვის არსებული კულტურული ცხოვრების შესახებ.

გიგი ქადაგიშვილი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, მე-4 კურსი:

„თეატრალური ფესტივალები და ზოგადად თეატრი ჩემთვის უფრო მეტად ურთიერთობაა, ვიდრე კონკურსი. როგორც ჟიურიმ გადაწყვიტა, მე გავხდი მამაკაცის მთავარი როლის საუკეთესო შემსრულებელი, რაც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა ყველაზე სასიამოვნო ის თბილი გარემო იყო, რომელიც ფესტივალის განმავლობაში იგრძნობოდა, რისთვისაც მადლობა როგორც ორგანიზატორებს, ასევე ბათუმის უნივერსიტეტის დასს „თეატრონს“.

„სხვენი“ გამოირჩევა საკუთარი ხელწერით და ჰყავს თავისი მაყურებელი.ხშირად ვმონაწილეობთ საერთაშორისო ფესტივალებში, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთაც.

ჩვენი რეჟისორი, ბატონი გოგი ყოველთვის ცდილობს სცენაზე შექმნას საინტერესო სამყარო და უნივერსიტეტის გარეთ წარმატებებიც დიდწილად მისი დამსახურებაა. ბავშობიდან მინდოდა თეატრალური ხელოვნების სწავლა, ჩავაბარე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე, თუმცა პირველივე წელს მივედი თეატრში ქასთინგზე და გავხდი „სხვენის“ მსახიობი“.

ქეთევან ოქუაშვილის თქმით, არცერთ ჯილდო არაა მხოლოდ იმ ადამიანის, რომელიც იღებს, ჯილდო მისთვის აღიარებაა იმ შრომისა, რომელიც მთელმა დასმა ერთობლივად ჩადო.

„მას შემდეგ რაც არსებობს თსუ „სხვენი“ თეატრმა მდიდარი წარსული დააგროვა, მონაწილეობას ვიღებდით როგორც ადგილობრივ, ასევე საზღვარგარეთ ჩატარებულ საერთაშორისო ფესტივალებში, თუნდაც გერმანიაში, ავსტრიაში, რიგაში და ა.შ. და ა.შ... არცერთი ფესტივალიდან დასი ხელცარიელი, პრიზის გარეშე არ დაბრუნებულა, რაც ძირითადად დასის ხელმძღვანელის დაუზარებელი შრომისა და ენთუზიაზმით სავსე დასის წევრების დამსახურებაა.

„სხვენის“ სკოლა დღეს უკვე ბევრმა წარმატებულმა ადამიანმა გაიარა, რომელთაგან ნაწილმა ხელოვნებაშიც დაიმკვიდრა თავი, ნაწილისთვის კი იყო ბრძოლისა და განვითარებისთვის შეუცვლელი ეტაპი, სადაც გარდა მაყურებელთან ურთიერთობისა და სიმპათიის უნარის გამომუშავებისა, სწავლობდნენ თუ რას ნიშნავს იყო შეკრული გუნდი, განიცადო პარტნიორი, მხარი დაუჭირო მას ნებისმიერ მომენტში და ერთიანი ძალებით შექმნათ რაღაც იმაზე მეტი, ვიდრე დამოუკიდებლად გააკეთებდი.

თითოეული ფესტივალის ფარგლებში, გარდა საკუთარი თავის წარმოჩენისა, ასევე უმნიშვნელოვანესია დასებს შორის კომუნიკაცია. ბათუმში წელს პირველად ჩაგარდა სტუდენტური საერთაშორისო ფესტივალი – „დებიუტი“, სადაც გარდა ქართული დასებისა, მონაწილეობას იღებდნენ ლიტვისა და ლატვიის წარმომადგენლებიც, მათი „უსაინტერესოვესი“ ნამუშევრებით. მიუხედავად იმისა, რომ ფესტივალი პირველად ჩააგარეს ბატონი როინ დვალისა და გიორგი ფირცხალაშვილის ინიციატივით, უნდა აღინიშნოს, რომ არაფრით ჩამოუვარდებოდა უკვე „გამოცდილ“ ფესტივალებს.

მსგავსი ტიპის კონკურსში გამარჯვება ბუნებრივია, პირველ რიგში, სტიმულია უფრო მეტი გავაკეთო ჩემთვის უსაყვარლეს სფეროში ზრდისა და განვითარებისათვის, მეორე რიგში კი აღიარებაა იმ შრომისა, რომელიც მთელმა დასმა ერთად ჩავდეთ და მუდამ აღვნიშნავ, რომ არცერთ ჯილდო არაა მხოლოდ იმ ადამიანის, რომელიც იღებს. ყველაფერი მთელი გუნდის და ჩვენთვის ხელშემწყობი ადამიანების დამსახურებაა, პირველ რიგში კი ჩვენი არაჩვეულებრივი დასის ხელმძღვანელის ბატონი გიორგი გომურაშვილის. წელს ჩვენს მაყურებელს ელოდება მეტად საინტერესო თეტრალური კვირეული თსუ „სხვენის“ იუბილეს აღსანიშნავად.

მადლობას ვუხდი ჩემს ხელმძღვანელს და თსუ-ს რომ გვეხმარებიან და გვაძლევენ ასეთი გამოცდილების მიღების ბედნიერებას“, – ამბობს ქეთევანი.

გაზეთი მომზადდა თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ. საკონტაქტო ინფორმაცია – ტელ: 2 22 23 91; ელ.ფოსტა: tsupr@tsu.ge; ვებ-გვერდი: www.tsu.edu.ge